თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დიდუბის რაიონის მაჟორიტარ

გივი ჩხარტიშვილის

ანგარიში

2022 წელი

მიმართვა

ჩემთვის დიდი პატივია, თბილისის მუნიციპალიტეტის მეშვიდე მოწვევის საკრებულოს წევრის და დიდუბის რაიონს მაჟორიტარის რანგში ვემსახურო ჩემს ქალაქს, ჩემს დიდუბელებს, დიღმელებს. ადამიანებს, რომელთა ინტერესებსაც წარმოვადგენ დედაქალაქის საკრებულოში, მიუხედავად იმისა რა არჩევანი გააკეთეს საარჩევნო ყუთთან.

ვიდრე დეტალურ ანალიზზე გადავალ არ შემიძლია ხაზი არ გავუსვა რამდენიმე მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას, რომელიც თბილისის საკრებულომ საანგარიშო პერიოდში, მათ შორის, თბილისი მერიასთან თანამშრომლობით მიიღო:

წელს, რამდენჯერმე და მნიშვნელოვნად გაიზარდა დედაქალაქის ბიუჯეტი, რამაც შესაძლებლობა მოგვცა :

- დაიწყოს ავარიული კორპუსების ჩანაცვლების პროექტის განხორციელება;
- გაიზარდა საქალაქო ტრანსპორტის სუბსიდირება.
- გაფართოვდა „სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების ხელშეწყობის“ ქვეპროგრამა, შედეგად სწავლა მრავალშვილიანი ოჯახის წევრ და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე სტუდენტებსაც უფინანსდებათ;
- გაიზარდა სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება;
- ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება;
- აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაცია;
- გაიზარდა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა;
- ამოქმედდა ქვეპროგრამა, რომელიც 60 წელს გადაცილებულ თბილისელებს მუნიციპალური სპორტული სავარჯიშო ინფრასტრუქტურით სრულიად უფასოდ სარგებლობის შესაძლებლობას აძლევს;
- დაფინანსდა ახალი ქვეპროგრამა, რომელიც საშუალებას იძლევა, სახელმწიფო ზრუნვიდან გასულმა ახალგაზრდებმა მიიღონ არამატერიალიზებული სახის 500 ლარიანი ვაუჩერი;

კიდევ მრავალი პროექტის ჩამოთვლა შეიძლება.
წლიური ანგარიში კარგი შესაძლებლობაა გადავხედოთ იმ შედეგებს, რაც ჩვენმა გადაწყვეტილებებმა და ნაბიჯებმა მოიტანა.

სარჩევი

1. მიმართვა 2

2. შინაარსი 3

3. საკრებულოს სხდომები 4-5

4. სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია 6-7

5. ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისია..... 8-10

6. ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“..... 11

7. შეხვედრები მოქალაქეებთან და მაჟორიტარულ ოლქში

განხორციელებული პროექტები 12-18

საქმიანობა თბილისის საკრებულოში

თბილისის საკრებულო ქალაქის წარმომადგენლობით ორგანოა, რომელიც „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის და „საკრებულოს რეგლამენტის“ საფუძველზე საქმიანობს.

2021 წლის 3 დეკემბრიდან წარმოვადგენ დიდუბის რაიონს თბილისის მეშვიდე მოწვევის საკრებულოში;

ვარ სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრი;

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის წევრი;

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილე;

როგორც დიდუბის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი აქტიურად ვარ ჩართული თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუშაობაში.

საანგარიშო პერიოდში ვმონაწილეობდი საკრებულოს 15 სხდომაში.



❖ **საკრებულოს სხდომებზე მრავალი მნიშვნელოვანი საკითხი განვიხილეთ, შევუმუშავეთ და დავამტკიცეთ. მათ შორის:**

- „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, რამდენიმე კომპანიის მიმართ გასატარებელი ღონისძიებები;
- დავამტკიცეთ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სპორტი უფროსი თაობისთვის“ ფარგლებში საცურაო აუზების და ფიტნეს დარბაზების მომსახურების მისაღებად, 60 წლის და 60 წელს გადაცილებული პირების დაფინანსების წესი;
- მხარი დავუჭირეთ საბიუჯეტო ცვლილებებს, რომლის მიხედვით საქალაქო ტრანსპორტის სუბსიდია - 28 253,6 ათასი ლარით გაიზარდა, სარეზერვო ფონდი - 3 120.0 ათასი ლარით;
- დავამტკიცეთ ცვლილებები ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესში, რომლის თანახმად ავარიული ბინების მესაკუთრეებს მუნიციპალიტეტი უსასყიდლოდ სთავაზობს ახალი ბინების მშენებლობას და პროექტის განხორციელებისთვის ავარიული შენობების მცხოვრებთა 100%-ის თანხმობაა საჭირო;
- თბილისის ბაგა-ბაღების სააგენტოს მიეცა უფლებამოსილება მათ მიერ დამტკიცებული შესაბამისი დოკუმენტაციის საფუძველზე, თბილისის მუნიციპალურ ბაგა-ბაღებში მიიღონ უკრაინის მოქალაქეების 2-დან 6-წლამდე ასაკის შვილები;
- ქვეპროგრამას, რომლის საფუძველზეც სოციალურად დაუცველი პენსიონერები მედიკამენტების შესაძენად 500 ლარიან ვაუჩერს იღებენ;

- საკრებულოს განკარგულებით თბილისელებს დიღმის მასივში მონაცვლეობის წესით კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სპორტული ინფრასტრუქტურა დაუბრუნდათ, რომლის რეაბილიტაციაც მალე დაიწყება;

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის პრიორიტეტს, თბილისის მასშტაბით, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სფეროში ერთიანი პოლიტიკის გატარების ხელშეწყობა წარმოადგენს. მათ შორის შესაბამისი სამართლებრივი აქტების, პროექტების და იმ პროექტებზე დასკვნების მომზადება, რომელიც გულისხმობს:

- ახალგაზრდულ საქმეთა სფეროში ერთიანი პოლიტიკის გატარებას;
- სპორტული ობიექტების რეაბილიტაციის და ინფრასტრუქტურის განვითარებას;
- დედაქალაქში ახალგაზრდული, კულტურულ-სპორტული პროგრამებისა და პროექტების განხორციელებას;
- ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პროპაგანდას, სპორტული და ტურისტული პროგრამების შემუშავებასა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას;
- მშენებარე სპორტული ობიექტების მონიტორინგს;
- სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება;
- წარმატებული სპორტსმენების წახალისებას;
- სტაჟირებასა და დასაქმებაში ახალგაზრდების ხელშეწყობას;

საანგარიშო პერიოდში სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 13 სხდომაში ვმონაწილეობდი, საერთო ჯამში განვიხილეთ 52 საკითხი. არაერთ მნიშვნელოვან პროექტზე გავეცით დადებითი დასკვნა. მათ შორის მხარი დავუჭირეთ ისეთ პროექტებს როგორიცაა:

- „თბილისის სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის“ შექმნა;
- წარმატებული სტუდენტების წახალისებისა და სოციალურად დაუცველი სტუდენტების დაფინანსების წესის დამტკიცებას;
- მერიასთან, ბიზნესთან, ფეხბურთის ფედერაციასთან თანამშრომლობით „ავაზას“ სპორტული კომპლექსის თბილისის მუნიციპალიტეტისთვის დაბრუნებას;
- იმას, რომ 2022-2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრზე სოციალურად დაუცველ სტუდენტებთან ერთად სწავლის საფასური მრავალშვილიანი ოჯახის წევრ და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე სტუდენტებსაც დაუფინანსდებათ;
- წინა წლებისგან განსხვავებით, დაფინანსებით ისარგებლებენ ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტები, რომლის ოდენობაც დამოკიდებული იქნება აკადემიურ მოსწრებაზე;
- მოვისმინეთ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მიერ, 2022 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში;
- გავეცანით მიმდინარე პროექტების შესახებ ინფორმაციას;

ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისია

კომისიის მიზანია თბილისის მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება, სამშენებლო ბიზნესის სტიმულირება, საქალაქო მეურნეობის დარგების განვითარების პრიორიტეტების შესაბამისად, ინფრასტრუქტურის მოწყობის, განვითარებისა და რეაბილიტაციის პროგრამების დაგეგმვა და სამართლებრივი აქტების პროექტებისა და დასკვნების შემუშავება.

კომისიის საქმიანობა:

- განიხილავს საკრებულოს მიერ დედაქალაქში ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის საკითხებს და ამზადებს შესაბამის დასკვნებს;
- კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშავებს და საკრებულოს წარუდგენს სამართლებრივი აქტების პროექტებს;
- საქმიანობს საკრებულოს რეგლამენტისა და სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე;

საანგარიშო პერიოდში საკრებულოს ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიის 15 სხდომაში მივიღე მონაწილეობა. ამ დროის განმავლობაში განვიხილეთ 249 საკითხი. მხარი დავუჭირეთ დედაქალაქისა და თბილისელებისთვის ძალიან მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს. მათ შორის ისეთს, როგორიცაა:

- თბილისის მერიის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტს, რომელიც თბილისის მუნიციპალიტეტსა და გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკს (KfW) შორის გაფორმდა პროექტის „მდგრადი ურბანული მობილობა საქართველოში" - განსახორციელებლად;

პროექტი თბილისში გონიერი სატრანსპორტო სისტემის (ITS), მდგრადი სატრანსპორტო და ურბანული ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის საჭირო ფინანსურ მხარდაჭერას ითვალისწინებს.

- შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, გასატარებელ ღონისძიებებს;
- თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესში ცვლილებებს, რომელმაც შესაძლებლობა მისცა მუნიციპალიტეტს ჩანაცვლების პირველი პროექტი უკვე დაეწყო;

- მხარი დავუჭირეთ მელიქიშვილის გამზირის რეაბილიტაციის პროექტს, რომლის შედეგად თბილისში მალე კიდევ ერთი ცენტრალური გამზირის ახალი სიცოცხლე დაიწყება. მელიქიშვილი იქნება ჭავჭავაძის გამზირის ორგანული გაგრძელება, სადაც სატრანსპორტო მოძრაობის ყველა მონაწილის ინტერესი იქნება დაცული. სრულად შეიცვლება მიწისქვეშა საკომუნიკაციო ქსელი; მოეწყობა ახალი განათებისა და

სანიაღვრე სისტემები. გზის სავალ ნაწილზე დაიგება ასფალტის ახალი საფარი და გაჩნდება ბასლაინები. მოეწყობა ახალი მოსაცდელები და ველობილიკი. ინფრასტრუქტურა იქნება შშმ ადაპტირებული.

- მხარი დავუჭირეთ ინიციატივას და 2008 წლის აგვისტოს ომის გმირთა სახელების უკვდავსაყოფად თბილისში, კიდევ 15 ქუჩას აგვისტოს ომში დაღუპული გმირების სახელი მიენიჭება;
- დადებითი რეკომენდაცია მივეცით 5 ახალი მარშრუტის დამტკიცებას, რომ მოქალაქეებმა უფრო კომფორტულად და სწრაფად შეძლონ საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობა;
- მხარი დავუჭირეთ მწვანე ნარგავების თვითნებურად ჭრასა თუ დაზიანებაზე რეგულაციების გამკაცრებას;
- კომისიის თავმჯდომარის ინიციატივით "თელასის" და "თელმიკოს" წარმომადგენლებთან ერთად ვიმსჯელეთ დედაქალაქის მასშტაბით "თელასის" ქსელების მდგომარეობის მოწესრიგების საკითხზე და შევთანხმდით, რომ კომპანიამ მათი გამოსწორების ვალდებულება უნდა აიღოს.

განხილული საკითხების და მიღებული გადაწყვეტილებების სია ვრცელია.
საანგარიშო პერიოდში ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიამ საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად განიხილა და შეისწავლა ,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის #39-18 დადგენილებაში განსახორციელებელი ფუნქციური ზონის 318 ცვლილება (დადებითი 304, გადაიდო 13, უარი 1).
საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად განხილული და დამტკიცებულ იქნა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალებების, განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტებისა და განაშენიანების რეგულირების კორექტირებული გეგმების 163 პროექტი (გადაიდო 3, უარი 1).
კომისია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მოქალაქეთა და ორგანიზაცია-დაწესებულებათა განცხადება-წერილებს იქნება ეს არქიტექტურული, ურბანული საკითხები, შიდა კვარტალური გზების, ეზოების, სკვერების, ბავშვთა სპორტული მოედნების მოწყობა, ქალაქის სანიტარული დასუფთავება, მყარი მუნიციპალური ნარჩენების მართვა თუ მოქალაქეთა საბინაო, სოციალური და ყოფითი პირობების გაუმჯობესების საკითხები. საანგარიშო პერიოდში კომისიის სამდივნოში სულ შემოსული და განხილულია 115 წერილი ან განცხადება.

ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“

შექმნის დღიდან, როგორც თავმჯდომარის მოადგილე აქტიურად ვმონაწილეობ ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ მუშაობაში. ფრაქციის მიზანი საკრებულოსა და მისი სტრუქტურული ერთეულების საქმიანობაში მონაწილეობა, წევრების აქტიურობის გაზრდისა და შესაძლებლობათა მაქსიმალური გამოვლენისადმი ხელშეწყობა, საკრებულოს რეგლამენტის მოთხოვნათა შესრულებაზე კონტროლის განხორციელება და საკრებულოს სამართალშემოქმედებითი და მაკონტროლებელი საქმიანობის განხორციელებისას ფრაქციის შეჯერებული აზრის გამოხატვაა.

საანგარიშო პერიოდში ფრაქციის 23 სხდომიდან დავესწარი 20-ს და 42 საკითხის განხილვაში მივიღე მონაწილეობა. მათ შორის:

- განვიხილეთ დედაქალაქში სატრანსპორტო მიმართულებით არსებული გამოწვევები და ვიმსჯელეთ მათი გადაჭრი გზებზე;
- მოვისმინეთ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის საქმიანობის ანგარიში;
- გავეცანით რეკრეაციული პროექტების მიმდინარეობას, როგორიცაა:
    - ზღვის უბნის პარკი;
    - ვარკეთილის ხევში პარკის სარეაბილიტაციო
    - სამუშაოები;
    - ციციშვილის, სარაჯიშვილის, ლიბანის,
    - ფარნავაზის ქუჩებზე სკვერების მოწყობა;
    - მეტეხის ფერდის და გეგეშიძის პარკის რეაბილიტაცია;

- დედაქალაქში მიმდინარე და დაგეგმილ ინფრასტრუქტურულ პროექტებს;
- ავარიული კორპუსების ჩანაცვლების პროგრამას;
- სატრანსპორტო პოლიტიკის ფარგლებში დაგეგმილ ცვლილებებს;

შეხვედრები მოქალაქეებთან და მაჟორიტარის ბიურო

2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისა და ჩემი სადეპუტატო უფლებამოსილების ცნობის შემდეგ აქტიურად ვმართავ შეხვედრებს მოქალაქეებთან ჩემს სამაჟორიტარო ოლქში. ბიუროს თანამშრომლებთან ერთად ვმუშაობ მათი პრობლემების იდენტიფიცირებაზე, საჭიროების მიხედვით ვეხმარები მათ, შესაბამისი კომისია თუ სამსახური ჩაერთოს საკითხების გადაწყვეტაში.

საკრებულოს დიდუბის მაჟორიტარის ბიუროში მოქალაქეთა მიღების დღედ განსაზღვრული მაქვს - ოთხშაბათი. თუმცა, საჭიროების მიხედვით, მოქალაქეთა მიღება ხდება ნებისმიერ სამუშაო დღეს. გარდა უშუალო კომუნიკაციისა, ჩემი ბიუროს თანამშრომლები ახორციელებენ თითოეული მოქალაქის სატელეფონო ზარისა თუ სოციალურ ქსელში მოსული შეტყობინების მონიტორინგს და ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში მათ შესაბამის შუამდგომლობას ვუწევთ.

ბიუროში მოქალაქეებთან მათთვის საჭირბოროტო არაერთ საკითხზე ვისაუბრეთ. ბიუროს კარი ყოველთვის ღიაა მოქალაქეებისთვის, ვისაც დახმარება ან კონსულტაცია სჭირდება. არ აქვს მნიშვნელობა იქნება ეს, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის საჭიროებები, როგორიცაა სახურავის, ლიფტის მოწესრიგება, ან სკვერის მოწყობა, სახლის გამაგრება, სპორტული მოედნის მოწყობა თუ რეაბილიტაცია.

ნაწილისთვის მნიშვნელოვანია სოციალური საკითხები, ჯანდაცვის მიმართულებით დახმარება - ჩვენ ვცდილობთ დავეხმაროთ ყველას ჩვენი შესაძლებლობების და კომპეტენციის ფარგლებში.

ასევე, ბიუროს თანამშრომლებთან ერთად აქტიურად ვმართავთ გასვლით შეხვედრებს მოქალაქეებთან. ვეცნობით საკითხებს, რომელიც მოქალაქეებს აწუხებთ.

მათ შორისაა კორპუსის ეზოს კეთილმოწყობა, მისასვლელი გზის მოასფალტება, ქვეითთა უსაფრთხო გადაადგილებისთვის სიჩქარის შემზღუდავი ბარიერის, ე.წ. მწოლიარე პოლიციელის დამონტაჟება.

მწვანე სივრცე ავტოფარეხების ნაცვლად - 4 წლის წინ დაწყებული პროექტი, ჩვენივე თანაქალაქელების ჩართულობით აქტიურად მუშაობს დიდუბის რაიონში და ბუნებრივია,

ჩვენ, მერიასთან და დიდუბის გამგეობასთან ერთად მაქსიმალურად ვუწყობთ ხელს მოქალაქეებს ამ პროექტების განხორციელებაში.

- საანგარიშო პერიოდში დიდუბის რაიონში ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით და ჩემი ჩართულობით განხორციელებული პროექტების და სამუშაოების სტატისტიკა ასეთია:

- ✓ ეზოების მოწყობა, ტროტუარების და გზების ორმული შეკეთება, კორპუსებთან მისასვლელი გზების მოწყობა და რეაბილიტაცია, პანდუსების მოწყობა განხორციელდა სულ 61 მისამართზე და ამ პროექტებში საერთო ჯამში ადგილობრივი ბიუჯეტიდან 2 227439.49 ლარი დაიხარჯა;
- ✓ 92 სკვერის მოწყობასა და რეაბილიტაციაზე დაიხარჯა 362707.71 ლარი;
- ✓ მოეწყო 18 სტადიონი და პროექტების ღირებულება 139180.19 ლარია;
- ✓ 17 მისამართზე დამონტაჟდა ახალი მოაჯირები და ამისთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 117582.84 ლარი დაიხარჯა;
- ✓ 9 მისამართზე აღდგა ძველი მოაჯირები და ამისთვის 22327.84 ლარი გამოიყო;
- ✓ მიმდინარეობს სპიროდონ კედიას ქ. N10ა-დან აკ.წერეთლის გამზირამდე სანიაღვრე ქსელის მოწყობის სამუშაოები. ასევე სანიაღვრე ქსელი ეწყობა დავით ყიფიანის ქ. N4 კორპ. N2-დან მტკვრის მარცხენა სანაპირომდე და ორივე პროექტის ბიუჯეტი 433407.03 ლარია;
- ✓ სანიაღვრე ქსელების რეაბილიტაცია მიმდინარეობს 4 მისამართზე და საერთო ჯამში სამუშაოებზე 139732.09 ლარია გათვალისწინებული.

❖ **მოქალაქეთა მომართვის საფუძველზე დავაყენეთ 300-ზე მეტი შუამდგომლობა, მათ შორისაა:**

- ➢ ერთჯერადი ფინანსური დახმარება;
- ➢ მედიკამენტებით უზრუნველყოფა;
- ➢ C და B ჰეპატიტზე სამკურნალოდ გამოკვლევის დაფინანსება;
- ➢ თერაპიული მკურნალობის ხელშეწყობა;
- ➢ ოპერაციული მკურნალობის ხელშეწყობა;
- ➢ რეანიმაციაში და სტაციონარში მკურნალობის ხარჯების დაფინანსება;
- ➢ უსახლკარო სტატუსის მინიჭება;
- ➢ ბინის ქირის გადასახადის დაფინანსება;
- ➢ ხანძრის შედეგად დაზიანებული ნივთების გატანა;
- ➢ სარიტუალო მომსახურება;
- ➢ სკვერის რეაბილიტაცია და ტრენაჟორების დადგმა;
- ➢ სარეკრეაციო ზონის მოწყობა;
- ➢ სახლის სახურავის შეცვლა;
- ➢ შენობის გამაგრება;
- ➢ წყლის საწრეტი მილის შეკეთება;

- საკანალიზაციო სისტემის მოწესრიგება;
- ფასადის შეკეთება;
- ხეების დარგვა;
- სპორტული მოედნის რეაბილიტაცია;
- კალათბურთის ფარების მონტაჟი;
- სკამების და ურნების მონტაჟი;
- საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება;
- სატრანსპორტო საკითხების მოწესრიგებისთვის ინფრასტრუქტურული ღონისძიებების გატარება;

ამ შუამდგომლობების დიდი უმრავლესობა უკვე დაკმაყოფილებულია. ნაწილს კი გამგეობასთან და მერიასთან თანამშრომლობით გავითვალისწინებთ მომავალი წლის ბიუჯეტში.

თბილისის მერიის, დიდუბის გამგეობის და მაჟორიტარის ბიუროს კოორდინირებული მუშაობის და მოქალაქეების საჭიროებებზე მორგებული პროექტების მხარდაჭერის შედეგად დღეს შეგვიძლია ვთქვათ:



✓ კედიას ქუჩის მაცხოვრებლების მრავალწლიანი პრობლემა საბოლოოდ მოგვარდება. სანიაღვრე ქსელის არ არსებობის გამო მათ, წვიმიან ამინდში პრობლემები ექმნებოდათ. წერეთლის გამზირიდან გვეტაძის ქუჩამდე ქსელის მოწყობა უკვე სრულდება;

✓ კედიას ქუჩაზევე, 10 ნომერში, ფეხბურთის და კალათბურთის ხელოვნურ საფარიანი მოედნები მოეწყო. აქვეა მცირე სკვერი, მოსასვენებელი სივრცე ნებისმიერი ასაკის

ადამიანისთვის. პროექტები დიდუბის გამგეობის ბიუჯეტიდან 93 ათასი ლარით დაფინანსდა;

- ✓ 14 ოჯახი გორის ქუჩის 4 ნომერში მალე უსაფრთხოდ იცხოვრებს. შენობას გამაგრება სჭირდებოდა და პრობლემა, რომელიც მოსახლეობას მრავალი წელი აწუხებდა მოგვარებულია. კაპიტალურად გამაგრდება ავარიული სახლის საძირკველი, აღდგება არმატურის დაზიანებული ჯავშანი და ბზარების სპეციალური მასალით შეივსება.

საანგარიშო პერიოდში ჩემს სამაჟორიტარო ოლქში დიდუბის რაიონის გამგეობის ორგანიზებით და ჩემი ჩართულობით გაიმართა არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციისთვის, რაც ჩვენი გუნდის ერთ-ერთი მთავარი მიზანია. მათ შორის:

- ➢ ჩოგბურთის ღია ჩემპიონატი „დიდუბე 2022“. ქალთა და ვაჟთა ერთეულებსა და წყვილებს შორის. გამარჯვებულებს თასები, მედლები და სპორტული მაღაზიის ვაუჩერები გადავეცით;

- „დიდუბის თასი 2022" ქუჩის კალათბურთში;
- „დიდუბის თასი 2022“ მინი ფეხბურთში;

ჯილდოები კი, რომელიც დიდუბის გამგებელთან ერთად ტურნირების გამარჯვებულებს გადავეცით, მოტივაცია იქნება არა მხოლოდ ამ ტურნირების მონაწილე ახალგაზრდებისთვის. და იმის დასტურიც, რომ შრომას, ვარჯიშს და მონდომებას ყოველთვის აქვს შედეგი.

ბუნებრივი ჩვენი მიზანია ახალგაზრდების წახალისება. დიდუბის რაიონის 14 სკოლას წელს 181 მედალოსანი მოსწავლე ჰყავდა. აქედან 121 ოქროს

მედალოსანი, 57 - ვერცხლის. წავახალისეთ ეს ახალგაზრდები და მათ საჩუქრად წიგნები და მადლობის სიგელები გადავეცით.

- ✓ თბილისის მერის ინიციატივით დაწყებული, მოქალაქეებისთვის საცხოვრებელი ფართების დაკანონების პროგრამის ფარგლებში, დიდუბის რაიონში მცხოვრებ 20 ოჯახს, რომლებიც საცხოვრებელს წლობით ვერ იკანონებდნენ, ფართები სიმბოლურ ფასად, ერთ ლარად გადაეცათ;

წელს დიდუბის რაინოს ბიუჯეტი 17 068 300 ლარია. აქედან ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის გათვალისწინებულია 6 732 000 ლარი. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ხელშეწყობისთვის - 4 526 000 ლარი. სოციალურ პროექტებზე და საჭიროებებზე გათვლილია 3 745 900 ლარი. კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშაწყობისთვის 170 000 ლარი.

დარწმუნებული ვარ მომავალ წელს საქმიანობა კიდევ უფრო დატვირთული და ნაყოფიერი იქნება.